

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010. ქ.ბათუმი, ნინოშვილის ქ 34, ტელ/ფაქსი (+995 222) 27 17 87 ელ.ფოსტა: <a href="mailto:info@bsu.edu.ge">info@bsu.edu.ge</a>
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სატყეო საქმე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	აგრარულ მეცნიერებათა ბაკალავრი
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	240 კრედიტი: ძირითადი სპეციალობა - 180 კრედიტი. დამატებითი სპეციალობა ან არჩევითი კურსები - 60 კრედიტი.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	მომზადდეს აგრარულ მეცნიერებათა ბაკალავრი, რომელსაც ეცოდინება: ტყის პროდუქტიულობის გონივრული მართვა და მდგრადი გამოყენება; დეგრადირებული ფართობების აღდგენის თანამედროვე მეთოდები; მერქნის გამოყენება, ტყის წყალშემნახავი, ნიადაგდაცვითი და კლიმატმარეგულირებელი ფუნქციები; მოვლითი და მთავარი სარგებლობის ჭრები; ტყის განახლება, ტყის ფონდის ორგანიზაციის აღწერა-აღრიცხვა, ტყის რესურსების ბრუნვა და კვლავწარმოება, ტყის ჭრის ხნოვანების, მერქნის სარგებლობის წლიური ოდენობის განსაზღვრა; ტყის სატაქსაციო მაჩვენებლების ზუსტი შეფასება და მის საფუძველზე სწორი ტყეთმორწყობის ორგანიზაცია; ტყის მცენარეთა მავნებელ - დაავადებებისაგან და ხანძრებისაგან დაცვა.
სწავლის შედეგები	კურსდამთავრებულს შეუძლია: <ul style="list-style-type: none"> <li>- მსოფლიო ტყეების, კერძოდ კი საქართველოს ტყეების ბუნებრივი პირობებისა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების ზოგადი დახასიათება;</li> <li>- ტყეების დაყოფა ფუნქციონალური დანიშნულების (კატეგორიების) მიხედვით, ადგილობრივი და ინტროდუცირებული მერქნიანი სახეობების სისტემატიკური ანალიზი;</li> <li>- ტყის დაცვა, დეგრადირებული დაბალპროდუქტიული ტყეების აღდგენა-განახლება;</li> <li>- მაღალხარისხოვანი სტანდარტული სარგავი მასალის გამოყვანისათვის სატყეო - სანერგის მოწყობა, და ძირითადი ტყის სახეობათა ნერგის აღზრდა;</li> <li>- ტყის კულტურების წარმოება და სატყეო საკულტურო დარაიონება;</li> <li>- ტყის მცენარეთა დაავადებების ამოცნობა და მათ წინააღმდეგ ტრადიციული და თანამედროვე მეთოდების გამოყენება;</li> <li>- განსაზღვროს კორომში მიმდინარე ცვლილებები და განსაზღვრული მითითებების შესაბამისად დაგეგმოს ჭრები;</li> <li>- დამოუკიდებლად განსაზღვროს ტყის სიმწიფე და აწარმოოს ტყის ინვენტარიზაცია;</li> <li>- ტყის ჭრის სისტემებსა და სახეებზე გამოყოფილი ტყესაკაფების დამუშავებისა და ათვისების ტექნოლოგიური სქემების და ტექნიკის შერჩევა წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;</li> <li>- ხე-ტყის გამოზიდვა სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებებით, სახალხო მოხმარების საქონლისა და საწარმოო დანიშნულების ნაკეთობათა დამზადება, მერქნისა და ნარჩენების ქიმიური გადამამუშავება;</li> <li>- მოცემული აგროკლიმატური ზონის ეკოლოგიური პირობების განსაზღვრა და გათვალისწინება ტყის კულტურების განაშენიანებისას ზონალობის მიხედვით;</li> <li>- ქიმიის და მათემატიკის, საინფორმაციო ტექნოლოგიების დისციპლინათა თეორიული ცოდნის გამოყენება სატყეო ტაქსაციისა და სტატისტიკის საკითხებში.</li> </ul>
შეფასების წესი	სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით: (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; (E) საკმარისი - 51-60 ქულა. (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს ბუფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ხელახლა აქვს შესასწავლი.
საკონტაქტო პირი	ვანო პაპუნაძე, პროფესორი ტელ: 599 26 26 87; 579 26 26 87. ელ-ფოსტა: <a href="mailto:vano.papunidze@bsu.edu.ge">vano.papunidze@bsu.edu.ge</a>

